http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/userreport.cgi?mid=19&yid=v1937

დაამატა: **ერლან მანაშევმა**

“დინამო” (თბილისი) - “კრასნაია ზარია” ლენინგრადი - 3:0 (2:0)

24 ოქტომბერი. თბილისი. სტადიონი “დინამო”. 25 000 მაყურებელი.

მსაჯი: ა. სოხრანსკი (მოსკოვი).

გოლები: 1-0 ასლამაზოვი (2), 2-0 ლემეშევი (20, ავტოგოლი), 3-0 თ. გავაშელი (64).

თბილისის “დინამო”: ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი), ჭუმბურიძე, ვ. ჯორბენაძე, მ. მინაევი, კიკნაძე, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ასლამა-ზოვი, სომოვი.

“კრასნაია ზარია” ლენინგრადი: დოროფეევი (დონცოვი), ვ. ტოპტალოვი, მედვედევი, ბოდროვი, ლემეშევი, ორეშკინი, გრიგორიევი, სმირნოვი, არტემიევი, ლოტკოვი, იარცევი.

გაძევება: მ. ბერძენიშვილი (83)

თბილისის “დინამოს” გამარჯვება

შემოდგომის თბილმა, მზიანმა დარმა 24 ოქტომბერს დიდძალი ხალხი მიიზიდა “დინამოს” სტადიონზე. 40.000 კაცი ადევნებდა თვალყურს ლენინგრადის “კრასნაია ზარიასა” და თბილისის “დინამოს” ფეხბურთელთა საინტერესო შეჯიბრებას.

“კრასნაია ზარიამ” საუკეთესოდ გამოიჩინა თავი თბილისელებთან შეჯიბრებებში: შარშანდელი მატჩი საკავშირო პირველობაზე მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 3:2. ხოლო წელს ამ გუნდების შეხვედრა პირველობის გათამაშების პირველ წრეში ყაიმით დამთავრდა (1:1). ეს გარემოება ინტერესს ჰმატებდა 24 ოქტომბრის შეჯიბრებას.

თამაში დაიწყო დინამოელების შეტევით. უკვე მეოთხე წუთზე მ. ასლამაზოვმა კარგად მოიყენა მარჯვენა ფრთიდან მიღებული ბურთი და თავით პირველი გოლი გაიტანა.

მე-20 წუთზე ბ. პაიჭაძემ მოხდენილად გაიტაცა ბურთი, მიუახლოვდა ლენინგრადის კარს და გოლში დაარტყა, მაგრამ მეკარემ ბურთი დააბრუნა. გამობრუნებული ბურთი ფეხში ჩაუვარდა “კრასნაია ზარიას” მარჯვენა მცველს, რომელმაც რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაარტყა თავის ჭიშკარში. ბურთი იმდენად მოულოდნელი და მაგრად დარტყმული იყო, რომ მეკარე არც კი განძრეულა.

შემდეგში ლენინგრადელებმა თანდათან გამოასწორეს გარღვეული ფრონტი და ძლიერად დააწვნენ თბილისის კარს. ერთხანს საფიქრებელი იყო, რომ ისინი შესძლებდნენ ანგარიშის გაქვითებას. მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს.

უკანასკნელ წუთებში ინიციატივა ისევ დინამოელების ხელში იყო. მე-40 წუთზე პაიჭაძემ ნაღდი ბურთი გააფუჭა.

მეორე ტაიმი ლენინგრადელებმა სწრაფი ტემპით დაიწყეს. მეოთხე წუთზე მარცხენა გარემარბმა ლოტკოვმა კარგად გაიტაცა ბურთი და საშინელი სიძლიერით დაარტყა, მაგრამ იგი შტანგას მოხვდა.

მე-18 წუთზე თ. გავაშელმა ბრწყინვალე გოლით დააგვირგვინა დაწყებული დარღვევა. შემდეგში გუნდების ბრძოლას შედეგი აღარ მოჰყოლია და თამაში დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ტაიმის ბოლოს ლენინგრადელებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთი ბურთი მაინც გაეტანათ “პენალტიდან”, მაგრამ ვერც ეს შემთხვევა გამოიყენეს.

ამჟამად თბილისის “დინამოს” აქვს 32 ქულა და დარჩა ერთი შეჯიბრება მოსკოვის “ლოკომოტივთან”. ამ თამაშს თბილისელებისათვის საკავშირო პირველობის კალენდარში ადგილის მოპოვებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. წაგების შემთხვევაშიც კი “დინამოსათვის” მეოთხე ადგილი უზრუნველყოფილია.

30 ოქტომბერს პირველობის გათამაშების უკანასკნელი დღეა. თბილისში ითამაშებენ თბილისის “დინამო” და მოსკოვის “ლოკომოტივი”, ხოლო მოსკოვში _ “სპარტაკი” და “ცდკა”.

26 ოქტომბერი, 1937 წ.